რა ვიცით პარლამენტის შესახებ?

5-6

თბილისი
2020

რა ვიცით პარლამენტის შესახებ?

5-6

მოსწავლის სახელმძღვანელო

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს პარლამენტი

UNDP

სახელმძღვანელო მომზადებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები და მისი შინაარსი არ უნდა აღვიქვათ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად.

ტექსტის ავტორები: კახაბერ ურიადმყოფელი
ნინო გვარამაძე

სტილის რედაქტორი: გვანცა გედენიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:

კონცეფცია: დემოკრატიის ლაბორატორია

ილუსტრაციები: იკო ელბაქიძე

დიზაინი: თეონა კერესელიძე

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE PRINTING HOUSE

© ყველა უფლება დაცულია
© საქართველოს პარლამენტი

ISBN 978-9941-8-2686-3

პატარა მეგობარო!

ამ წიგნის საშუალებით გაეცნობი საკითხებს, რომლებიც მთელ ჩვენ ქვეყანას ეხება. შეიძლება, ზოგიერთი მათგანისთვის ყურიც კი მოგიკრავს. გაკვეთილებზე შენს მეგობრებთან ერთად დაფიქრდები, იმსჯელებ, ითამაშებ და გაიგებ ახალ ინფორმაციას ჩვენი პარლამენტის შესახებ.

გისურვებთ წარმატებებს!

ქვემოთ მოყვანილი პირობითი ნიშნები დაგეხმარება წიგნის გამოყენებაში:

დაფიქრდი

დაწერე

იმუშავეთ ჯგუფურად

იმუშავეთ წყვილებში

უპასუხე კითხვას

ახალი სიტყვები

შეამოწმე შენი ცოდნა

შინაარსი

რა არის პარლამენტი და რისთვის არის ის საჭირო?	5
ვინ შეიძლება იყოს საქართველოს პარლამენტის წევრი და როგორ ირჩევენ მას?	9
როგორ მუშაობს პარლამენტი?	11
როგორ მუშაობს პარლამენტი კანონებზე?	14
როგორ აკონტროლებს პარლამენტი კანონების აღსრულებას?	17
როგორ ურთიერთობს მოსახლეობა პარლამენტთან?	19
ტერმინთა განმარტებები	24

რა არის პარლამენტი და რისთვის არის ის საჭირო?

დაფიქრდი და უპასუხე კითხვებს:

1

რომელი თამაში გიყვარს ყველაზე მეტად?

2

- გაიხსენე ამ თამაშის 1 ან 2 წესი.
- რა მოხდება, თუ ამ წესს ან წესებს დაარღვევ?

3

4

- რა მოხდებოდა, თამაშს წესები რომ არ ჰქონდეს?
- ვინ მოიფიქრა ეს წესები?
- რას აკეთებენ ბავშვები თამაშის გარდა?

აქტივობა 1

1

2

3



4

5

6

მე-6 გვერდზე მოყვანილია ბავშვებისა და უფროსების საქმიანობის ამსახველი სურათები. ჩამოწერე რვეულში ამ სურათების ნომრები. მიუწერე გვერდზე საქმიანობა და მისი ერთი რომელიმე წესი, როგორც მოცემულია ნიმუშში:

1. სწავლა — სკოლაში მეცადინეობა ყოველდღე ერთსა და იმავე დროს იწყება.
2. _____
3. _____

და ა.შ.

ადამიანებს ბევრნაირი მოთხოვნილება და საჭიროება გვაქვს: ჩვენ უნდა შევძლოთ სწავლა, დასვენება, მოგზაურობა, მუშაობა, გართობა, ჯანსაღი და მშვიდი ცხოვრება, განვითარება. ამისთვის კი გვჭირდება საერთო წესები, რომლებსაც კანონები ჰქვია. ძირითადად, სწორედ კანონების მისაღებად არსებობს **პარლამენტი**. პარლამენტში ამგვარ წესებსა და კანონებს შეიმუშავებენ და ამტკიცებენ პარლამენტის წევრები.

კითხვა:

- იცით, სად მდებარეობს პარლამენტის შენობა?

პარლამენტის შენობა მდებარეობს თბილისში, რუსთაველის გამზირზე.

აქტივობა 2

დავალება შეასრულეთ ჯგუფებში.

- 1 წუთის განმავლობაში დააკვირდით თქვენი ჯგუფისთვის განკუთვნილ სურათს. შეეცადეთ, სურათი აღადგინოთ მისი ნაწილების მიხედვით.

- დააკვირდით პარლამენტის სხდომათა დარბაზს. როგორ ფიქრობთ, დაახლოებით, რამდენი ადამიანი ზის დარბაზში?

ესენი პარლამენტის წევრები არიან, რომლებიც მუშაობენ კანონებზე. საქართველოს პარლამენტში **150** წევრია. მათ დეპუტატებს უწოდებენ.

დაიმახსოვრე! „პარლამენტის წევრი“ და „პარლამენტის დეპუტატი“ ერთსა და იმავეს ნიშნავს.

! **ახალი სიტყვები:** პარლამენტი, დეპუტატი.

ვინ შეიძლება იყოს საქართველოს პარლამენტის წევრი და როგორ ირჩევენ მას?

საქართველოს პარლამენტის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პირი (მათ შორის, თქვენი ოჯახის წევრი ან ნაცნობი), რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- საქართველოს მოქალაქეა
- არის 25 წლის ან მეტის
- 10 წელია ან მეტი ცხოვრობს საქართველოში
- არ აქვს მისჯილი თავისუფლების აღკვეთა სასამართლოს მიერ

აქტივობა 3

წყვილებში მოიფიქრეთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვისი არჩევა შეიძლება პარლამენტის წევრად და რატომ:

ნათია

კოტე

ზურა

ნათია 28 წლის არის და საქართველოს მოქალაქეა. სკოლის პირველი 6 კლასი უცხოეთში ისწავლა, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. ამჟამად სკოლაში მუშაობს მასწავლებლად.

კოტე 23 წლის არის და საქართველოს მოქალაქეა. მუდმივად საქართველოში ცხოვრობს. მან კარგი განათლება მიიღო და უნივერსიტეტში მუშაობს.

ზურა 29 წლის არის და საქართველოს მოქალაქეა. დაბადებისთანავე მშობლებმა უცხოეთში წაიყვანეს საცხოვრებლად. ბოლო სამი წელია, საქართველოში ცხოვრობს და მუშაობს.

პარლამენტის წევრებს 4 წელიწადში ერთხელ ირჩევენ, ამიტომ მისი შემადგენლობა იცვლება. ყოველთვის ერთსა და იმავე ადამიანებს არ ირჩევენ დეპუტატად. ეს სამართლიანია.

- **საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა 2008, 2012 და 2016 წლებში. დაასახელეთ მომდევნო არჩევნების წლები.**

პარლამენტის წევრებს ირჩევს ხალხი. მათი არჩევის (არჩევნებში მონაწილეობის) უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელიც არის:

- საქართველოს მოქალაქე
- 18 წლის ან მეტის

თითოეული მოქალაქე ირჩევს მას, ვისი შეხედულებებიც მეტად მოსწონს. არჩევნები მიმდინარეობს ფარული კენჭისყრით.

- **რამდენი წლის შემდეგ შეძლებ არჩევნებში მონაწილეობას?**

როგორ მუშაობს პარლამენტი?

გაიხსენე, როგორ არის დაყოფილი სასწავლო წელი.

- **როდის იწყება და მთავრდება პირველი სემესტრი? მეორე სემესტრი?**

პარლამენტის შეკრების დროც სასწავლო წელს ჰგავს. სემესტრს პარლამენტში **სესია** ჰქვია. არსებობს საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიები. სესიის მუშაობის ვადები განსხვავდება სემესტრის დაწყება-დამთავრების ვადებისგან.

საშემოდგომო სესია იწყება სექტემბრის პირველ სამშაბათს და სრულდება დეკემბრის მესამე პარასკევს; საგაზაფხულო სესია კი იწყება თებერვლის პირველ სამშაბათს და სრულდება ივნისის ბოლო პარასკევს.

აქტივობა 4

კალენდარში მოძებნე:

- რომელ რიცხვში დაიწყო და დამთავრდა საშემოდგომო სესია 2019 წელს
- რომელ რიცხვში დაიწყო და დამთავრდა საგაზაფხულო სესია 2020 წელს



პარლამენტი თითოეულ საკითხს განიხილავს სხდომებზე. მის ყველაზე დიდ სხდომას, რომელშიც პარლამენტის ყველა წევრი მონაწილეობს, **პლენარული სხდომა** ეწოდება. შესაძლოა, ზოგიერთმა წევრმა ვერ მოახერხოს სხდომაზე დასწრება საპატიო მიზეზების გამო. სხდომა ტარდება მაშინ, როცა მას ესწრება პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი.

- **გამოთვალე, სულ მცირე, რამდენი წევრი უნდა ესწრებოდეს საქართველოს პარლამენტის სხდომას, რომ ის ჩატარდეს?**

სხდომის დროს პარლამენტის წევრები მსჯელობენ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა: ადამიანის უფლებები, უსაფრთხო გარემო, განათლება, ჯანსაღი ცხოვრება და ა.შ. დეპუტატები სვამენ შეკითხვებს, პასუხობენ მათ და გამოთქვამენ მოსაზრებებს. ამ პროცესს **დებატები** ეწოდება. დებატების შემდეგ ისინი იღებენ გადაწყვეტილებას.

პარლამენტის სხდომას უძღვება პარლამენტის თავმჯდომარე. მისი მოვალეობაა, სხდომაზე იყოს წესრიგი და ყველაფერი წესის შესაბამისად წარიმართოს.

პარლამენტში გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრით. ამ დროს პარლამენტის წევრები აჩვენებენ, ეთანხმებიან თუ არა განსახილველ საკითხს. კენჭისყრა პარლამენტში ტარდება ელექტრონულად, ღილაკზე თითის დაჭერით.

ახალი სიტყვები: სესია, პლენარული სხდომა, დებატები.

როგორ მუშაობს პარლამენტი კანონებზე?

კანონების მიღება პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. მას პარლამენტის **საკანონმდებლო საქმიანობას** უწოდებენ, თვითონ პარლამენტს კი — **საკანონმდებლო ორგანოს**.

კანონებით დგინდება სხვადასხვა წესი, თუ რისი გაკეთება შეიძლება და რისი - არა. მაგალითად, პარლამენტმა კანონით დაადგინა, რომ თუ ქვეითად მოსიარულე გზას გადაკვეთს შუქნიშნის წითელ ფერზე, ის დაჯარიმდება 10 ლარით. კანონი ასევე აწესებს, რომ ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება და ა.შ.



საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები უნდა დაიცვას ქვეყნის ყველა მოქალაქემ და საქართველოში მყოფმა ნებისმიერმა სხვა პირმა.

პარლამენტის წევრს შეუძლია პროექტის მომზადება კანონისათვის. ეს ჯერ არ არის კანონი. ეს მისი „სამუშაო“ ვერსიაა და **კანონპროექტი** ჰქვია. კანონპროექტს ჯერ მცირე ჯგუფში განიხილავენ და ასწორებენ, შემდეგ კი პარლამენტს წარუდგენენ განსახილველად.

მომდევნო ნაბიჯია კანონპროექტის განხილვა. პარლამენტის წევრები კანონპროექტის გარშემო ბევრს მსჯელობენ. ისინი გამოთქვამენ მოსაზრებებს და სვამენ შეკითხვებს. ეს განხილვის პროცესია. ანდაზა „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“ კარგად შეესაბამება კანონპროექტის განხილვას პარლამენტის მიერ. პარლამენტის წევრები კარგად უნდა დაფიქრდნენ და მხოლოდ შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება.

კანონების მიღებას, ისევე, როგორც სხვა საკითხებს, პარლამენტი წყვეტს კენჭისყრით. თუ კენჭისყრისას პარლამენტის წევრთა უმრავლესობა არ დაეთანხმება კანონის მიღებას, ის დამტკიცებულად არ მიიჩნევა.

პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი. დამტკიცებული კანონები ქვეყნდება საჯაროდ, რათა მათი წაკითხვა ყველამ შეძლოს. ამ კანონების ნახვა შესაძლებელია მისამართზე: www.matsne.gov.ge, ასევე, პარლამენტის ვებგვერდზე: www.parliament.ge.

- **გაიხსენე, ვინ ირჩევს პარლამენტს?**

პარლამენტმა ყველას ინტერესები უნდა გაითვალისწინოს, რადგან მას მოქალაქეები ირჩევენ. ამასთანავე, პარლამენტის მიერ მიღებული კანონების დაცვა ყველას მოეთხოვება.

აქტივობა 5

დაიყავით 3 ჯგუფად და მოიფიქრეთ 2 ან 3 წესი თქვენი კლასისთვის. რა მოხდება, თუ ვინმე დაარღვევს ამ წესებს?

- წარუდგინეთ კლასს თქვენ მიერ შემუშავებული წესები
- იმსჯელეთ თითოეულ წესზე და ჩამოაყალიბეთ საბოლოო სახით
- კენჭი უყარეთ თითოეულ წესს
- ჩამოწერეთ 3 წესი, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო

დაფიქრდი და უპასუხე:

- რა გაიგე ახალი?
- რა გაგიძნელდა?
- რა იყო შენთვის ადვილი?
- რომელი აქტივობა მოგეწონა?
- რომელი აქტივობა არ მოგეწონა?

შეგიძლია, პასუხები გაუზიარო მთელ კლასს, ან ჩაინიშნო რვეულში.

პარლამენტის მუშაობას კანონპროექტზე და კანონის მიღებას **საკანონმდებლო საქმიანობა ეწოდება**.

ახალი სიტყვები: კანონპროექტი, საკანონმდებლო საქმიანობა, საკანონმდებლო ორგანო.

როგორ აკონტროლებს პარლამენტი კანონების აღსრულებას?

პარლამენტის მიერ მიღებული კანონები უნდა შეასრულონ ცალკეულმა ადამიანებმაც და სხვადასხვა დაწესებულებამაც. ამ საკითხზე ზრუნავს **აღმასრულებელი ხელისუფლება**. აღმასრულებელი ხელისუფლება არის მთავრობა, რომელშიც შედიან მინისტრები. ისინი ხელმძღვანელობენ სამინისტროებს. მთავრობის მეთაურს **პრემიერ-მინისტრი** ეწოდება.

რას ნიშნავს კანონის აღსრულება?

მაგალითად: პოლიციელს შეუძლია, დააჯარიმოს მძღოლი, თუ მას ან მის გვერდით მჯდომს არ ექნება შეკრული ღვედი. პოლიციელს ეს ევალება, ვინაიდან ღვედის გარეშე მგზავრობა სახიფათოა. პოლიციელი შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება.

პარლამენტის საქმიანობაში შედის არა მხოლოდ კანონების მიღება, არამედ მათი აღსრულების გაკონტროლებაც. პარლამენტის წევრები აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს (მაგალითად, მინისტრებს) პარლამენტში იბარებენ, უსვამენ შეკითხვებს და ამოწმებენ მათ საქმიანობას. ამას **საპარლამენტო კონტროლი** ეწოდება.

მაგალითად, პარლამენტმა მიიღო კანონი ზოგადი განათლების შესახებ. განათლების სამინისტრო წყვეტს, თუ რას, როგორ და ვინ ასწავლის სკოლებში. პარლამენტი დროდადრო იწვევს განათლების მინისტრს და უსვამს კითხვებს სკოლებში სწავლების მიმდინარეობაზე.

აქტივობა 6

გამოიცანი, რომელ მინისტრს ეხება დასმული კითხვები:

1. როგორ ამოწმებთ სკოლებში დისტანციურ სწავლებას?

2. რამდენი საავადმყოფო გაიხსნება უახლოეს ნახევარ წელიწადში?

3. როგორ გეგმავთ სამხედროების წვრთნას ახალი სამხედრო ტექნიკის ასათვისებლად?

4. რა სამუშაოები გატარდა ავტოსაგზაო შემთხვევების (ავარიების) შესამცირებლად?

ახალი სიტყვები: აღმასრულებელი ხელისუფლება, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, საპარლამენტო კონტროლი.

როგორ ურთიერთობს მოსახლეობა პარლამენტთან?

პარლამენტის წევრები ხშირად ხვდებიან მოსახლეობას. პარლამენტს ხალხი ირჩევს. ამიტომ, მისი წევრები ვალდებულნი არიან, მოუსმინონ მოქალაქეებს, მათ პრობლემებს, შემდგომ კი იზრუნონ ამ საკითხების მოგვარებაზე.

აქტივობა 7

დაიყავით ჯგუფებად:

- მოიფიქრეთ, რა პრობლემებზე შეიძლება ესაუბროთ დეპუტატს
- თითოეულ ჯგუფში აირჩიეთ ერთი მოსწავლე, რომელიც განასახიერებს დეპუტატს მეორე ჯგუფისთვის
- არჩეულ მოსწავლეს სხვა ჯგუფის წევრები ესაუბრებიან პრობლემებზე

კიდევ როგორ შეიძლება აზრის მიწოდება პარლამენტისთვის?

ამისათვის შეგიძლიათ:

- ესტუმროთ პარლამენტს
- წერილი გაუგზავნოთ ჩვეულებრივი ან ელექტრონული ფოსტით
- მონაწილეობა მიიღოთ პარლამენტის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა შეხვედრაში

მოქალაქეებთან ურთიერთობასა და სხვა ფუნქციების შესრულებაში დეპუტატებს ეხმარება პარლამენტის აპარატი, სადაც დასაქმებულია ასეულობით ადამიანი.

ინფორმაციას პარლამენტის საქმიანობის შესახებ გაეცნობით მის ვებგვერდზე: www.parliament.ge.

პარლამენტის ვებგვერდზე წარმოდგენილია დეპუტატების სია, მათი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელფოსტის მისამართი), პარლამენტის სხდომების განრიგი, კანონპროექტები და მიღებული კანონები. აქვე შეგიძლიათ, თვალყური ადევნოთ პარლამენტის სხდომებს, რომლებიც პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

- **როგორ ფიქრობ, რატომ გადაიცემა პარლამენტის სხდომები პირდაპირ ეთერში?**

შეგიძლიათ, საქართველოს პარლამენტს ეწვიოთ ექსკურსიითაც. ასეთი სტუმრობისას დაათვალიერებთ პარლამენტის შენობას, სხდომათა დარბაზებსა და მუზეუმს. თუ ვიზიტი პარლამენტის სხდომას დაემთხვევა, შესაძლებელია სხდომაზე დასწრებაც. პარლამენტს, საშუალოდ, 3,000 მოსწავლე სტუმრობს წელიწადში.

შეამოწმე შენი ცოდნა

I. შეავსე კროსვორდი ფანქრით.



1. ასე უწოდებენ პარლამენტის წევრს.
2. ვინ უძღვება პარლამენტის სხდომას?
3. თვე, როცა იწყება პარლამენტის საგაზაფხულო სესია.
4. პარლამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობაა „საპარლამენტო _____“.
5. ასე ეწოდება პარლამენტის მიერ დადგენილ წესებს.
6. რა ჰქვია პროცესს, რომელზეც პარლამენტი განიხილავს საკითხებს და იღებს გადაწყვეტილებებს?
7. რა ეწოდება პარლამენტის შეკრებას, რომელიც წელიწადში ორჯერ იმართება?
8. ფორმა, რომლითაც გადაწყვეტილებები მიიღება პარლამენტში.
9. რა ეწოდება კანონს, ვიდრე მას პარლამენტი მიიღებს?
10. ქალაქი, სადაც მდებარეობს საქართველოს პარლამენტი.

II. დაუსვი შეკითხვები უფროსებს და შეამოწმე მათი ცოდნა:

ა) რამდენი წევრია საქართველოს პარლამენტში?

ბ) რამდენი წლით ირჩევენ პარლამენტს?

გ) რამდენი წლის უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რომ გახდეს პარლამენტის წევრი?

დ) რა არის კანონი?

ე) ვინ აწერს ხელს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს?

ვ) სად შეიძლება პარლამენტის მიერ მიღებული კანონების ნახვა?

დავალება

დაფიქრდი ჩამოთვლილ კითხვებზე და ერთ-ერთს წერილობით გაეცი პასუხი:

1. რა მნიშვნელობა აქვს პარლამენტის საქმიანობაში ანდაზას: „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“?
2. როგორი უნდა იყოს პარლამენტის წევრი?
3. მე რომ პარლამენტის წევრი ვიყო...

ტერმინთა განმარტებები

აღმასრულებელი ხელისუფლება - სახელმწიფოს მართვასა და კანონების შესრულებაზე პასუხისმგებელ დაწესებულებათა ერთობლიობა

დებატები - საწინააღმდეგო მოსაზრებების ურთიერთგაცვლა საერთო მოსაზრებამდე მისასვლელად

დეპუტატი - აქ - პარლამენტის წევრი

კანონპროექტი - კანონის სამუშაო ვერსია

მთავრობა - აღმასრულებელი ხელისუფლების უზენაესი ორგანო, რომლის წევრებიც არიან მინისტრები და პრემიერ-მინისტრი

პარლამენტი - არჩევნების გზით შექმნილი ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო

პარლამენტის აპარატი - პარლამენტის თანამშრომლები, რომლებიც პარლამენტის წევრებს ეხმარებიან მუშაობაში, მაგრამ თვითონ წევრები არ არიან

პლენარული სხდომა - პარლამენტის წევრების საერთო სხდომა, რომელზეც პარლამენტი განიხილავს საკითხებს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს

პრემიერ-მინისტრი - მთავრობის მეთაური

საპარლამენტო კონტროლი - კანონების აღსრულების კონტროლი პარლა-მენტის მიერ

საკანონმდებლო ორგანო - ორგანო, სადაც იქმნება კანონები

საკანონმდებლო საქმიანობა - კანონების შექმნასა და მიღებაზე მუშაობა

სესია - პარლამენტის შეკრების დროის მონაკვეთები გაზაფხულსა და შემოდგომაზე